

16/31

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საქართველოს მთავრობასა და უკრაინის მთავრობას
შორის თევზის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობის
შესახებ

საქართველოს მთავრობა და უკრაინის მთავრობა,
შემდგომში "მხარეებად" წოდებულნი,

სურთ ორ ქვეყანას შორის გააძლიერონ მეგობრობისა
და ტრადიციული ურთიერთობების კავშირები,

მხედველობაში იღებენ ქ. კიევში 1993 წ. 13 აპრილს
საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის
მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების
შესახებ ხელმოწერილ ხელშეკრულებას,

ითვალისწინებენ თევზჭერის ტრადიციულ თვისებებს
და ამ დარგში მხარეთა ხანგრძლივ სამეურნეო კავშირებს,

სურთ განავითარონ თავიანთი ურთიერთობანი
მხარეთა უფლებების მათი განსაკუთრებული (საზღვაო)
ეკონომიკური ზონების რესურსების მართვაზე და
ტერიტორიულ წყლებზე სახელმწიფო სუვერენიტეტის
ურთიერთცნობისა და პატივისცემის საფუძველზე,

მხედველობაში იღებენ 10.12.1982წ. საზღვაო
სამართალზე გაეროს კონვენციას, 05.12.1995წ. შეთანხმებას
10.12.1982წ. საზღვაო სამართალზე გაეროს კონვენციის
დებულებების განხორციელების შესახებ, რომლებიც ეხება
ტრანსსაზღვრული თევზის მარაგსა და შორს
მიგრირებულ თევზების მარაგის შენარჩუნებასა და მათ
მართვას,

მიზანშეწონილად თვლიან უმოკლეს ვადებში
დაასრულონ სამუშაო კონვენციაზე თევზჭერისა და შავი
ზღვის ცოცხალი რესურსების შენარჩუნების შესახებ,
რომელიც მხარეთა მონაწილეობით შავი ზღვისპირა
ქვეყნების მიერ მუშავდება,

ითვალისწინებენ ორმხრივ დაინტერესებას შავი
ზღვის ცოცხალი რესურსების შენარჩუნებაში,
გამრავლებაში, ოპტიმალურ გამოყენებასა და მართვაში,

ითვალისწინებენ, რომ შავი ზღვის ცოცხალი
რესურსები წარმოადგენენ ერთიან ეკოლოგიურ კომპლექსს,

აღნიშნავენ შავი ზღვის ცოცხალი რესურსების შენარჩუნების, გამრავლების, ოპტიმალური გამოყენებისა და მართვისათვის თევზის მეურნეობის დარგში სამეცნიერო გამოკვლევების კოორდინაციის მნიშვნელობას, იხწყიან მხარეთა შორის თევზის მეურნეობის ცალკეულ სფეროებში თანამშრომლობის უზრუნველყოფისათვის პროცედურებისა და პრინციპების ურთიერთგაგებისაკენ,

აუცილებლად მიიჩნევენ თევზის მეურნეობის დარგში თანამშრომლობისათვის შექმნან სამართლებრივი ბაზა, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები თანხმდებიან ურთიერთგების საფუძველზე და ეროვნულ კანონმდებლობის ჩარჩოებში ითანამშრომლონ თევზის მეურნეობის დარგში საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების და მხარეთა ინტერესების შესაბამისად შავი ზღვის ცოცხალი რესურსების შენარჩუნების, რაციონალური გამოყენებისა და გამრავლების მიზნით.

მუხლი 2

1. ამ შეთანხმების ამოცანათა რეალიზაციისათვის მხარეები თითოეული მათგანის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებენ თევზის მეურნეობის პოლიტიკის და პრაქტიკულ საქმიანობის კოორდინირებას შემდეგი მიმართულებებით:

- შავი ზღვის რაიონების ფარგლებში საზღვაო ცოცხალი რესურსების შენარჩუნება, რაციონალური გამოყენება და გამრავლება და მათი მართვა შავი ზღვის რაიონების ფარგლებში, რომლებზეც ვრცელდება მხარეთა იურისდიქცია და სუვერენული უფლებები;

- მხარეთა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ხელშეწყობა თევზის მეურნეობის საქმიანობაში, მათ შორის ერთობლივი საწარმოების შექმნის ჩათვლით;

- მხარეთა ზღვაოსნობის უსაფრთხოების და ზღვაზე ადამიანთა სიცოცხლის უზრუნველყოფა;

- მხარეთა ხომალდების მიერ თევზის რეწვის უსაფრთხოებისა და მასთან დაკავშირებული სატვირთო და დამხმარე ოპერაციების როგორც ზღვის პირობებში, ასევე მათ პორტებში;

- აკვაკულტურის განვითარება, მარიკულტურის ჩათვლით; - სამეცნიერო კვლევების განხორციელება შავი ზღვის ცოცხალი რესურსებისა და მათი არსებობის გარემოს შეფასების მიზნით;

- უკრაინისა და საქართველოს დაწესებულებებსა და საწარმოებს შორის სამეცნიერო და თევზის რეწვის შესახებ ინფორმაციის შეკრება და გაცვლა;

- თევზის მეურნეობისა და სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის სფეროში გამოცდილების გაზიარება;

- თევზის მეურნეობის სფეროში სპეციალისტების მომზადება.

აღნიშნული მუხლის პირველ პარაგრაფში თანამშრომლობის მიმართულებების მოცემული ჩამონათვალი არ არის საბოლოო და მისი შევსება თანამშრომლობის სხვა მიმართულებებით შესაძლებელია მხარეების შემდგომი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 3

1. თითოეული მხარე თავის ტერიტორიულ წყლებში, რაიონებში, რომლებზეც ვრცელდება მისი იურისდიქცია და სუვერენული უფლებები, ზღვის ცოცხალი რესურსების საჭერი ნაშთის არსებობის შემთხვევაში, რეწვის ობიექტების გამოყენების ტრადიციულობის გათვალისწინებით, მიანიჭებს მეორე მხარის თევზსაჭერ ხომალდებს უფლებას აწარმოოს თევზის რეწვი ურთიერთმისაღებ პირობებზე.

2. თევზის რეწვისა და შავი ზღვის ცოცხალი რესურსების შენარჩუნების შესახებ კონვენციის ძალაში შესვლამდე, შავი ზღვის ცოცხალი რესურსების შენარჩუნებისა და მართვის მიზნით, მხარეები ამუშავებენ და ათანხმებენ შავი ზღვის ცოცხალი რესურსების შესაბამისი სახეობების რეწვის რეგულირების ზომებს უმეტესწილად დაზუსტებულ სამეცნიერო მონაცემების საფუძველზე.

მუხლი 4

1. მხარეები ახორციელებენ იმ რაიონებში ჭერის შესახებ ინფორმაციის გაცვლას რომლებიც წარმოადგენენ ურთიერთინტერესს, აგრეთვე შავი ზღვის ცოცხალ რესურსებთან დაკავშირებით სამეცნიერო, რეწვისა და სტატისტიკურ ინფორმაციას.

2. მხარეები ახორციელებენ გამოცდილების გაცვლას და, საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავენ ერთობლივ პროგრამებს სამრეწველო თევზჭერის ტექნიკის, თევზის გადამუშავებისა და შენარჩუნების ტექნოლოგიის კვლავწარმოების საზღვაო ცოცხალი რესურსების ოპტიმალური გამოყენების და მართვის, აკვაკულტურის მათ შორის მარიკულტურის განვითარების დარგში.

3. მხარეები თანამშრომლობენ შავ ზღვაში თევზის მარაგების მდგომარეობის შეფასების გამოკვლევასა და მონიტორინგის განხორციელებაში და საერთო დასაშვები თევზჭერის რაოდენობის განსაზღვრაში.

მუხლი 5

1. ამ შეთანხმების მიზნების განსახორციელებლად მხარეები ქმნიან ქართულ-უკრაინულ თევზჭერის საკოორდინაციო ჯგუფს შემდგომში ჯგუფად წოდებული.

2. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან თითოეული მხარის წარმომადგენლები. ჯგუფის სხდომებზე მათი შეიძლება თანახმდნენ მრჩეველები და ექსპერტები.

3. ჯგუფი სხდომებზე იკრიბება არანაკლებ წელიწადში ერთხელ რიგრიგობით საქართველოში და უკრაინაში ან რომელიმე მხარის თხოვნის საფუძველზე. ჯგუფის სდომების ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს მიმღები მხარე.

ჯგუფის რიგ გარეშე სხდომები ჩატარდება იმ მხარის თერიტორიაზე, რომელიც იქნება მისი ჩატარების ინიციატორი.

მუხლი 6

აღნიშნული შეთანხმების დებულებების შესრულების მიზნით ჯგუფი:

1. ამუშავებს წინადადებებს, საქართველოსა და უკრაინის წყლებში წყლის ცოცხალი რესურსების იმ ნაწილის ამოღების დასაშვები ნორმების, რომელიც შეიძლება მეორე მხარისათვის გადაცემულ იქნას თევზის რეწვის განხორციელების მიზნით და მასზე შესაბამისი კომპენსირების მოცულობისა და ხასიათის განსაზღვრის მიზნით.

2. ათანხმებს:

- აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თევზმჭერი ხომალდებისათვის გამოყოფილი რესურსების ნაწილის ათვისების მიზნით, თითოეული მხარის თევზმჭერი ხომალდის რაოდენობას, რომლებსაც რეწვის უფლება გააჩნია მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ წყლებში;
- მორიგი რეწვის წარმოების პირობებს;
- მიმღები, სატრანსპორტო, დამხმარე ხომალდების მუშაობის პირობებს იმ წყლებში, რომლებიც თითოეული მხარის იურისდიქციის ქვეშ იმყოფება, ხომალდის მომარაგების და თევზპროდუქციის გადატვირთვის, ხომალდის ბუნკირების ჩათვლით.

3. ხელს უწყობს მხარეების წარმოების საქმიანობის სუბიექტებს შორის ანგარიშსწორებას.

4. ხელს უწყობს აღნიშნული შეთანხმების განხორციელების დროს მხარეების ორგანიზაციებს, წარმოებებსა და დაწესებულებებს შორის წამოჭრილი საკამათო საკითხების გადაწყვეტაში.

5. წყვეტს აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში თანამშრომლობის ყველა სხვა საკითხს.

6. შემოაქვს წინადადებები აღნიშნულ შეთანხმებაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე.

7. ჯგუფის მუშაობის შედეგები ფორმდება ოქმით, რომელიც აღნიშნული შეთანხმების განუყოფელ ნაწილს შეადგენს და ყოველივე შემდგომი წლის განმავლობაში მისი დებულებების გამოყენების პირობებს განსაზღვრავს.

მუხლი 7

თითოეული მხარე ახორციელებს ყველა საჭირო ზომებს, რათა მისმა მოქალაქეებმა, თევზჭერმა ხომალდებმა და დაწესებულებებმა უზრუნველყონ აღნიშნული შეთანხმების დებულებებისა და აგრეთვე იმ მხარის კანონებისა და წესების შესრულება, რომლის ტერიტორიულ წყლებში იგი იმყოფება.

კანონებისა და წესების დარღვევის შემთხვევაში, თევზის რეწვის წესების ჩათვლით, მხარეები ახორციელებენ შიდაკანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს და მეორე მხარეს ატყობინებენ მიღებული ზომების შესახებ.

მუხლი 8

მხარეები კოორდინირებას უკეთებენ თავიანთ მოქმედებას შავი ზღვის ცოცხალი რესურსების შენარჩუნების, მათი რაციონალური გამოყენებისა და კვლავწარმოების მისაღწევად რეგიონის სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც თევზის მეურნეობის პრობლემებით არიან დაკავებული.

მუხლი 9

ამ შეთანხმების დებულებები არ ვრცელდება მხარეთა უფლებებზე, რომლებიც მესამე ქვეყნებთან დადებული

7
ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით არიან
გათვალისწინებული.

მუხლი 10

ამ შეთანხმების დებულებები მხარეთა
ურთიერთშეთანხმებით შეიძლება დამატებულ ან შეცვლილ
იქნან. ასეთი ცვლილებები და დამატებები წერილობით
სათანადოდ უნდა გაფორმდეს ცალკე ოქმით.

მუხლი 11

1. ეს შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.
2. ეს შეთანხმება იმოქმედებს ხუთი წლის განმავლობაში
და ავტომატურად გაგრძელდება შემდგომი 5 წლიანი
პერიოდით, თუ რომელიმე მხარე წერილობით არ
წარუდგენს მეორე მხარეს შეტყობინებას თავის
განზრახვის შესახებ შეწყვიტოს ამ შეთანხმების მოქმედება
არაუგვიანეს 6 თვისა შესაბამისი ვადის დამთავრებამდე.

ამის დასტურად შესაბამისი მთავრობების მიერ სათანადო
უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირებმა ხელი მოაწერეს
ამ შეთანხმებას.

შესრულებულია ქ. კიევში 1996 წლის 31 აგვისტოს 2
ნამდვილ ეგზემპლარად ქართულ, უკრაინულ და რუსულ
ენებზე, ამასთან ყველა ტექსტი აუტენტურია. ამ
შეთანხმების ტექსტის განმარტებაში განსხვავების
შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ტექსტს რუსულ
ენაზე.

საქართველოს მთავრობის
სახელით



უკრაინის მთავრობის
სახელით

